განკარგულება:**g-63. 632621511**
თარიღი:**03/08/2026**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086) 2016 წლის 13 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისა და იჯარის ფორმით სარგებლობის ვადის გაზრდის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და მამია ჩხაიძეს შორის 2016 წლის 13 სექტემბერის იჯარის ხელშეკრულებით და 2017 წლის 27 მარტის შეთანხმებით, მამია ჩხაიძეს იჯარის ფორმით სარგებლობაში გადეცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086), 15 (თხუთმეტი) წლის ვადით.

დიმიტრი ჩხაიძის მიერ წარმოდგენილია სამკვიდრო მოწმობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N260307820, რეგისტრაციის თარიღი - 11.03.2026), რომლის თანახმადაც, მამია ჩხაიძის პირველი რიგის მემკვიდრე არის დიმიტრი ჩხაიძე.

დიმიტრი ჩხაიძე, წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ითხოვს, რომ ჩანაცვლებულ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086) 2016 წლის 13 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებაში და გაიზარდოს იჯარის ფორმით სარგებლობის ვადა 15 (თხუთმეტი) წლით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 590-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ხელშეკრულების მოშლაზე და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ მათ უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით შეუძლიათ იჯარით გადაცემული ქონების სწორი სამეურნეო გამოყენება.

2016 წლის 13 სექტემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულებით საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს, ყოველთვიური ქირის ოდენობა არის 33,34 (ოცდაცამეტი ლარი და 34 თეთრი) ლარი.

უნდა შეიცვალოს იჯარით გაცემული უძრავი ქონების - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086) სარგებლობისათვის საიჯარო ქირის ოდენობა და იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში და იჯარის ფორმით სარგებლობის გაგრძელებულ პერიოდში საიჯარო ქირა წელიწადში, ნაცვლად 400 (ოთხასი) ლარისა, განისაზღვროს 1800 (ათასრვაასი) ლარის ოდენობით, შესაბამისად,

იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში და იჯარის ფორმით სარგებლობის გაგრძელებულ პერიოდში ყოველთვიური იჯარის ქირის ოდენობა, ნაცვლად 33,34 (ოცდაცამეტი ლარი და 34 თეთრი) ლარისა, განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტის და 24–ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 36–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 590-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086) 2016 წლის 13 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისა და იჯარის ფორმით სარგებლობის ვადის გაზრდის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**1.1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086) 2016 წლის 13 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებაში მამია ჩხაიძეს ჩაენაცვლოს დიმიტრი ჩხაიძე (მამია ჩხაიძის პირველი რიგის მემკვიდრე) და გაიზარდოს იჯარის ფორმით სარგებლობის ვადა 15 (თხუთმეტი) წლით.

**1.2.** შეიცვალოს იჯარით გაცემული უძრავი ქონების - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 20000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.086) სარგებლობისათვის საიჯარო ქირის ოდენობა და იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში და იჯარის ფორმით სარგებლობის გაგრძელებულ პერიოდში საიჯარო ქირა წელიწადში, ნაცვლად 400 (ოთხასი) ლარისა, განისაზღვროს 1800 (ათასრვაასი) ლარის ოდენობით, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების დარჩენილ პერიოდში და იჯარის ფორმით სარგებლობის გაგრძელებულ პერიოდში ყოველთვიური იჯარის ქირის ოდენობა, ნაცვლად 33,34 (ოცდაცამეტი ლარი და 34 თეთრი) ლარისა, განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

**2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი